

ଡ. ନାରେତୋହାଜିଲ୍ଲା

# ପ୍ରତ୍ୟା କୁମାର ଦୀନାତ୍ମକ

(ପାଠୀରୀ ପ୍ରକାଶକଳରେ)

ଶ. ଶ. ଶ. ନ. ସାହେଲାଜିଲ୍ଲା ପାଥାରାମଚନ୍ଦ୍ର

1924



ମୁଖ ରକ୍ତମାଲା

ପଦରମାଣୁ

ე. როსტოვაშვილი

ვოგა რამ ხინოვა

10278

(ვოგა რამ ის ქადაგი)



ს. ს. ს. ს. სახელმწიფო გამოცემობა

1926

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.

მთავლიტი № 845 შეკ. № 6865 ტირაჟი 2000

## ჭინასიტყვაობა.

ჩინეთის შესახებ პირველი ცნობა ბაგშობას „ვეფუ-  
შვის ტყაოსანში“ ამოვიკითხე. მას შემდეგ გაზეთებში  
მოკლე-მოკლე ცნობებს ვკითხულობდი, მაგრამ ჩემს ცნო-  
ბისმოყვარეობას ეს ვერ აქმაყოფილებდა. ვოცნებობდი,  
ჩინეთი როდისმე მენახა.

1908 წელს თვითმცყრობელობამ ციმბირში გადასა-  
ხლება მომისაჯა. გადავწყვიტე ამ მუქთი მოგზაურობით  
მესარგებლა და ჩინეთი დაახლოებით თუ არა, მცირედად  
მაინც გამეცნო.

ციმბირიდან გავიქეცი და „კუდანოვის“ გვარით  
ქალაქ ვლადივოსტოკში ამოვყავი თავი; ვლადივოსტოკი  
იმ დროს შორეულ აღმოსავლეთში ერთი საუკეთესი ნავთ-  
სადგური იყო. ამ ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა  
ჩინელებისაგან შესდგებოდა; არ იყო დაწესებულება, წარ-  
მოება, სავაჭრო და სხვა, რომ ჩინელი მოსამსახურე არ  
ჰქოლოდათ.

1910 წლიდან 1913 წლამდის აგურის ქარხა-  
ნაში უფროს მუშად ვმუშაობდი; ჩემმა დამქირავებელმა  
კეთილ ინება და ნება დამრთო ჩინელებთან ერთად (მუ-  
შებთან) მეცხოვრა და თუ ვიკადრებდი, მათთან ერთად  
მესადილნა (საკვები „ხაზეინის“ იყო). მე თანჩმობა გან-  
ვაცხადე და სამი წლის განმავლობაში ას მუშასთან ერ-  
თად, ერთ ყაზარმაში ვცხოვრობდი.

ჩინელები ისე მეპყრობოდენ, როგორც ძმას, მან-  
ლობელს. მათ უვკირდათ; რომ მე იგინი არ მეზიზლებო-  
დენ. უჭამდი მათთან ერთად და ვათევდი მათთან.

მათ სძულდათ ევროპიელნი და ემართლოდენ კი-  
დეც, რადგან ევროპიელნი მათ შეურაცხოფას აყენებდენ,  
კაცად არ სთვლიდენ; პირველ ხანში ისინი მეც უნდოდ  
მიყურებდენ, მაგრამ რა ღარწმუნდენ ჩემს თანაგრძნობა-  
ში—დამიახლოვდენ.

ჩინელთა ცხოვრებას დიდის ყურადღებით თვალყურს  
ვადევნებდი და ვსწავლობდი მათ ზნე-ჩვეულებას, რომ  
მოძმეთათვის გამეზიარებინა.

ჩინელთ პირადათ გაცნობით არ ვკმაყოფილდებოდი  
და ჩინეთის შესახებ, რაც კი იწერებოდა, ვკითხულობდი  
და ვეძებდი იმას, რაც ნახულ-გაგონილი მქონდა.

ამჟამად ვაქვეყნებ იმას, რაც პირადად მინახავს და  
მკითხველს ავუწერ. ჩემს შთაბეჭდილებას იმ ცხოვრები-  
საგან, რასაც მრავალი წლის განმავლობაში საკუთარი  
თვალით ვეზავდი.

დ. გ. როსტომაშვილი.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული სიტყვა „ჩინეთი“ წარმოდგება ჩინური სიტყვიდან—„ცინ“, ანუ „ცინგო“. ჩინურად „ცინგო ჩინეთს ნიშნავს. ცინი — იმპერატორი იყო, რომელმაც ცინთა დინასტია დაარსა და იწოდებოდა „დაიცინ.“ და იხმარება „დიდის“ აღსანიშნავად, ხოლო გო — მუშისა. მთლად სიტყვა „ცინგო“ — მეფე ცინის მუშებს ნიშნავს.

ამნაირად ჩინელნი დაიცინთა მუშებად იწოდებიან. რუსული „კიტაი“, სწავლულთა გამოკვლევით, წარმომდგარია იმ ხალხის სახელწოდებიდან, რომელიც მე-9 საუკუნეში ჩინელოეთ ჩინეთში სცხოვრობდა და „კიდან“ ერქვა. ჩინეთის სახელწოდება ქართულად, ინგლისურად და სხვა ენებში (გარდა რუსულისა) ცნება „ცინის“ გამომხატველია.

ჩინელები ქვეყანაზე ერთი უძველესი ერთგანია. ისინი პირველად იხსენიებიან ორი ათასის წლის წინადექ. შობამდე და ცნობებიდან სჩანს, რომ ჩინელებს მაშინდელი დროის შესაფერად დიდი კულტურა ჰქონიათ. არეულობისა და ჩინეთის სახელმწიფოს რღვევის ხანას მოსდევდა ისეთი მომენტები, როგორიც იყო კონფუციის (ჩინელთა სარწმუნოების დამაარსებელის) ხანა და კანთა დინასტიის პერიოდი (618—904), რომლის დრო ჟაკ ჩინეთის ლიტერატურა განვითარდა შემდეგ ჩინეთი

დაიპყრეს მონგოლებმა და მანჯურებმა, რომელნიც ჩინელებში აითვიფნება.

ჩინეთის ისტორიიდან სჩანს, რომ ჩინეთი უკვე დიდი ხანია ევროპას და ამერიკას იცნობს.

„ყველაზე უწინ ჩინეთი უნახავთ ფინიკიელებს, არა ბებს და ბერძნებს.

ჩინელებზე ევროპიელნი ამბობენ: „ჩინეთმა თავის სახელმწიფო კედლებით შემოზღუდა და შიგნით არავის არ უშვებდაო“. ეს მართალი არ არის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩინეთი კედელს გარეთ თავის სახლვრებზე ბაზრობას მართავდა და უცხოელ ვაჭრებთან აღებ-მიცემა ჰქონდა გამართული. გარდა ამისა, ჩინეთს სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულობა ჰქონდა დადებული. აქედან კი აშკარაა, რომ ჩინეთის განათლება და ტეხნიკა ყველგან ცნობილი იყო, რადგან სპარსეთზე მდებარეობდა როგორც ინდოეთის, ისე სხვა სახელმწიფოთა გზები.

ქართველება დღესაც იხსენიებენ სიტყვას „ჩინებულია“. ეს სიტყვა მოწმობს, რომ ოდესლაც ჩინეთი ჰქმნიდა საუკეთესო საქონელს და ჰყვავოდა.

მეცამეტე საუკუნეში, მონგოლთა დინასტიის იმპერატორმა „ხუბლაი“მ რომის პაპთან ჩინეთიდან მოკიშულები გაგზავნა და პაპს სწავლულ ხალხს სთხოვდა მასტავლებლებად. ამ თხოვნას მოჰყევა ცნობილ მარკო პოლოს ჩინეთში მოსვლა და ევროპისათვის ჩინეთისათვის გაცნობაც. აქეზანაც მტკიცდება, რომ ჩინეთი კარ-ჩაკე-ტილი არ იყო და-თუ ევროპიელნი ისე ხშირად არ ეწვეოდენ ხოლმე, როგორც ეს მოხდა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში, ეს მხოლოდ მისთვის, რომ ჩინეთი ძალიან

შორს იყო და სამოგზაურო: საშვალება განვითარებული არ იყო. მაგობა უულ სივას ვრცელავთ ოკითის გზებს. და ორთქლმავალის გამოგონების შემდეგ. <sup>1)</sup>

რუსეთი ჩინეთს იცნობს XVI საუკუნიდან, თუმცა კი მეცამეტე საუკუნეში მონგოლთ დაცემამ რუსეთს ჩინეთი გააცნო, რაღაც მონგოლთა ურდოებში ჩინელებიც იყვნენ. მაგრამ მაშინ რუსეთი ჩინეთს იცნობდა არა როგორც წარჩინებულ სახელმწიფოს, არამედ როგორც სანახევროდ ველურ მონგოლთა ვასალს.

ევროპიელების დაახლოებამ ჩინეთთან ამ უკანასკნელის დამოუკიდებულობისათვის საშიში ხასიათი მხოლოდ მე-XIX საუკუნეში მიიღო.

მე-19 საუკუნის დამლევიდან იწყება ევროპის სახელმწიფოთა მიერ ჩინეთის პირდაპირი გლეჯა. 1895 წ. ჩინეთი დაამარცხა იაპონიამ და სიმონასეკის ზავის ძალით ჩინეთი იძულებული იყო იაპონიისათვის მოზრდილი ტერიტორია დაეთმო. ეს ევროპიელმა სახელმწიფოებმა იწყინეს, რაღაც ჩინეთს თავის ლუქმად სთვლიდენ და იაპონია მხოლოდ კუნძულ ფორმოზათი დაკმაყოფილდა. 1898 წელს ევროპიელებმა ხრიკს მიმართეს და ვითომდა იჯარის სახით ჩინეთის ტერიტორია დაიკავეს: გერმანიამ კია-ჩაო დაიჭირა, რუსეთმა პორტ-არტური და ტალიევანი, საფრანგეთმა — კუანჩაუგანი და ინგლისმა ვეიხავეი. ამან ზალხის დიდი აღელვება გამოიწვია და 1900 წელს მოხდა დიდი აჯანყება, რომელიც ბოქსიორების ანუ „დიდი მუშტის“ აჯანყების სახელწოდებით არის ცნობილი აჯან-

1) „ვეფხვის ტყაონიდან“ სჩანს, რომ ჩინელები ქართველებაც ადრე გაუცვნათ.

ყებულნი დაერივნენ ჩინეთში მყოფ ევროპიელებს და სხვათა შორის გერმანიის ელჩი მოჰკლეს. რუსეთმა, ინგლისმა, გერმანიამ, იტალიამ, ავსტრიამ, საფრანგეთმა, შეერთებელმა შტატებმა და იაპონიამ ომის გამოუცხადებლად ჯარები გაჰკზავნეს ჩინეთში, დაამარცხეს აჯანყებულნი და პეკინი აიღეს. 1901 წელს ჩინელნა იძულებულნი გახდენ ხელი მოეწერათ თავისთვის ფრიად მძიმე საზარე პირობებზე, რომლის ძალით მრავალი ტერიტორია დაუთმეს უცხოელებს.

ჩინეთი საერთოდ ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების დავის საგანია და მათი ერთმანეთში ბრძოლის გამო იქ ხშირია შინაური შეტაკებანი. იმპერიალისტური სახელმწიფოები სარგებლობენ ამით და სურთ ჩინეთი მთლად ხელში ჩაიგდონ. მაგრამ ჩინელი ხალხი უკვე იღვიძებს და მისი დამონქება უკვე ძნელია.

ჩინეთში დაახლოებით ხუთასი მილიონი მცხოვრებია. ამოდენა ხალხს, საუკერებელია, მძლავრი სახელმწიფო უნდა ჰქონდეს. მაგრამ ღრმა ვიზარების გამო, როგორც ავღნიშნეთ, ჩინეთი იმპერიალისტების ხელშია ჩავარდნილი და ევროპა-ამერიკის თითქმის კოლონიას წარმოადგენს. ახლა ხალხის მოწინავე ილემენტები სცდილობენ განათავისუფლონ თავისი ქვეყანა იმპერიალისტების კლანჭებისაგან და სრული დამოუკიდებლობა მოუპოვონ. მას. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი დიდი თანაგრძნობით უკურებს ჩინეთის ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის და უოველგვარ ზნეოპტიკ დახმარებას უწევს.

ამ პატარა წიგნაკში მე არ ვეხები ჩინეთის რევოლუციონურ გამოსვლებს ან პოლიტიკურ პარტიებს. მე მინდა მხოლოდ რამდენადაც შევიძლებ ჩემი პირადი და კვირვება გადავცე მკითხველებს და ჩინეთის ხალხის ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი და შინაური ცხოვრება დავხატო-

## ჩინელი გლობის შრომა და მიზის მოსა- ვალი.

ჩინელი მიწის დამუშავებაში სხვა ერებს სჯობნის, მიწის ნაყოფიერებისთვის ის არას იშურებს. ჩინელს, რომელსაც მეზობლის მსგავსი ბოსტანი არა აქვს, სცხვენიან, ხშირად მომხდარა, როცა შეუნიშნავს—მისი ხახვი და ნიორი მეზობლისაზე ცუდია, არ ამოუღია—არ შევჩერ.

ჩინელი შრომის მოყვარეა; გარდა ამისა, ამტანიცაა. ჩინელი გლეხი მიწას ხშირად ნახევარ და ერთ არ-შინზედაც აბრუნებს; მის ბოსტანში, იმის მეტს ვერას წახავთ; რაც იმას დაუთესია. მის ბოსტანში ვერ ნახავთ არეულათ დათესილს, ან გაუმარგლავს. აქ უნდა აუღნი-შნოთ, რომ ყველა მეურნე ჩინელი მექანიკოსიც არის. ის იმ მანქანას, რომლითაც სიმინდს, პურს გაოლიანს და ბობს სთესს—თვითონ აკეთებს და ძალიან პრაქტიკულიც არის.

ჩინელმა რომ კაი მოსავალი მოიყვანოს, იც ამისა-თვის არც შრომას და არც ფულს ზოგავს. თუ მას ბობის კოპტონი არ აქვა, იგი ბობს ხარშავს და ამას უკარის ბოსტანს ძირში. თუ ესეც არა აქვს—სხვა პატივს ხმარობს; კაცის, ცხენის, ხარის განავალი და სხვა—ჩინელში ჭაპიტალია, ის კარგ ფასად იყიდება.

პატარა ბიჭები, ქუჩებში კალათეპით დადიან და  
ოასაც კი აოულობეს, მიღ სიახვთ. მათთვის სულ ეოთია,  
კაცის განავალი, ძალის, ცხენის, ფრინველის,—ყველას  
აგროებს ერთად. ხშირად ბავშვებს ჩხუბი მოსდით. აქ  
დასწრებაზეა, ვისაც მარდი მუხლი აქვს. გამარჯვებული  
ისაა. აქ ბრძოლაა არსებობისთვის. მრავალი მაგალითია,  
რომ ჩაცუცქულ ძალის მახლობლად ბავშვები ჩხუბობენ:  
„არა ჩემია ძალის განავალი, არა ჩემიო“:

ამისათვის მოხუცებულნი, ღამე ფარნით დადიან და  
დაეძებენ იმას, რაზედაც ბავშვები დღისით ჩხუბობენ.

შრომის ასეთი სიყვარული და ამტანლობა ჩინელს  
კარგად აჯილდოვებს. ამ მხრით ჩინელი ნაქებია და შეი-  
ძლება მისი სიმრავლის მიზეზიც ეს იყოს.

ჩინელ გლეხს თუ წვიმა არ მოდის—სარწყავალ  
სხვა და სხვა საშუალება აქვს. თუ მდინარე ახლოა, ჩი-  
ნელი მართავს ჩარხს; ჩარხი მოძრაობაში მოჰყავს ხარს,  
კამეჩს, ჯორს და სხვა. თუ მდინარე ახლო არ აქვს, მა-  
შინ ჭას ხმარობს. ჭახე სდგამს ხელით მამოძრავებელ  
ჩარხს, ამაზე მობმული აქვს ორი გოდორი, გოდორს შე-  
მოკრული აქვს ჩინური გაქონილი ქალალდი. გოდორები  
მომართულია ისე, რომ როცა ერთი ამოდის, მეორე ჩა-  
დის. თითო ამოწევაზე გოდორი სამს და ხშირად ოთხ  
ვედრა წყალს იღებს. იქვე მომართულია ღარები და წყა-  
ლი დანიშნულებისამებრ მიღის. თუ ბობით გაპატიებუ-  
ლი ნიადაგი გაშრა, მცენარე დაიწვის, სულ გახმება. ამი-  
სათვის იმ მცენარეს, რომელსაც ძირში ბობი აყრია, ყო-  
ველ დღე რწყავენ.

ჩინელი გლეხი მიწაზე სამუშაოდ იშველიებს ვირს,  
ჯორს, ხარს, ძროხას, ან რაც ჰყავს. იგი მათ ბოსტანში

ამუშავებს. ჩინელი გლეხისთვის არამოშუშავე პირუტყვია აო აოის. იგი ბულას და ძრონასასუც ისუ ამუშავებს, როგორც ცხენს და ჯორს. ხშირად შეხვდებით ურემს, რომელშიაც ერთადაა. შებმული ჯორი, ცხენი, ხარი, ძროხა, ბულა და ვირი. სამუშაო საქონლის ასეთი ნაირობა ევროპიელს აკვირვებს, მაგრამ ჩინელისათვის ის ჩვეულებრივია. შევეკითხე: ბულას რად ამუშავებთ მეთქი. იმიტომ რომ ის უფრო ღონიერიაო — მიპასუხეს.

ჩინეთში მიწაზე ყველა მუშაობს, უმუშავრად აქ მარტო ვაჭრები და „დუღზენები“ არიან. უნდა შევნიშნოთ რომ რასაც ვთქვათ, რუსის გლეხი ერთ დესეტინაზე მოიყვანს, ჩინელი იმას ორ „იმუზე“ მოიყვანს (იმუ—140-ოთხეუთხი საუენია). ჩინეთში ზამთარი მოკლეა, ზაფხული გრძელი და ცხელი. ზაფხულის სიგრძე ზოგიერთს შეძოხვევაში მიწის ორჯელ გადაბრუნება-დათესვას ხელს უწყობს. მაგალითად, პურის მომკის შემდეგ სთესენ სიმინდს ანუ ბობის. ბობისათვის საჭიროა დათესიდან მოჭრამდის ასი დღე. პური ჩინეთში იმკება მაისის დასასრულს, ბობი სექტემბრის ნახევრიდან. ბობი ჩინეთის ცხოვრების წყაროა, ბობიდან ხდის ზეთს, ზეთი მიდის ხალხის საკვებად. კოპტონს ხმარობენ საქონლის საკვებად და მიწის გასაპოხიერებლად. ჩინელ გლეხს კოპტონით ვაპატიებულ მიწაზე მოჰყავს ოცდა წუთ გირვანქიანი ჩინური კომბოსტო (ერთი თავი). ჩინელი გლეხი ბობს, კოპტონს და მათ ზეთს საზღვარ-გარეუ მრავალ მილიონ ფუთს გზავნის.

1923 წელს მარტო ჩოდილოეთ მანჯურიის გლეხებმა მოიყვანეს 532 მილიონი ფუთი სხვა და სხვა მარცვლეულობა.

## ჩინური საჭმელები

ათი სულიდან შემდგარი ოჯახი ცხოვრობს. ათი თორმეტი „იმუ“—მიწის შემოსავლიდან. ჩინელს ამაზე მოჰყავს მრავალნაირი რამ: ლობიო, პური, სიმინდი, გაოლიანი, ბობი, მიწის თხილი, მიწის ვაშლი, კომბოსტო, ბოლოკი, ნიახური, ქინძი, პრასა, და სხვა. მიწის თხილს და ბობს იგი ჰყიდის ხარჯების დასაფარავად, დანარჩენს იტოვებს საზრდოდ. ბობის და სიმინდის ფუჩეჩს ზმარობს პირუტყვთა საკვებად, გაოლიანის ფუჩეჩს კი შეშად. ჩინელთ პირველ მოთხოვნილების საგანი-პური და მწვანილია; თუ პური არ აქვს, ღომს ხმარობს, თუ ღოძი არ აქვს, - სიმინდს. თუ ესეც არ მოეპოება — გაოლიანს; ყველა ამისათვის წასაჭამად არის ხახვი; ბოლოკი, ქინძი, ნიახური, ნიორი, წიწაკა. ბობს ცოტახანს ალბობენ, მერე წყალს აცლიან, ნამში ინახავენ. ბობი ღვივდება, ღეროებს იკეთებს, ამას ბობის ზეთში ხრაკავენ; ეს ჩინელისთვის პატივცემული საჭმელია, მაგრამ ეს ყველასა-თვის ხელმისაწდომი არ არის, რადგან ცოტა მეტი დრო სჭირია და რამდენიმდე გროვით ძვირადაც ჯდება.

ბობიდან ამზადებენ მეორე საჭმელს, ეგრედწოდებულ „ტუიოს“. ეს საჭმელი წააგავს ჩვენებურ უმარილო ქხალ ყველს; მე პირველად ყველი მეგონა, მაგრამ გემომ დამარტმუნა, რომ ყველი არ იყო. სხვათა შორის ბობს ახმობენ და ფქვავენ ფქვილად. გაოლიანი უბობის ფქვი-

ლოდ მეტად ცუდი საჭმელია; მაგრამ 20 % ბობის ფქვილს რომ გაუჩევენ, ცოტა უკეთესდება (რბილდება). აგრეთვე 20% ბობს სიმინდის ფქვილშიაც ურევენ. სიმინდის მჴადიკ უმჯობესდება, სიმაგრეს ჰკარგავს და გამოდის რბილი და ნოყიერი.

ზემოხსენებულ მწვანილეულს გარდა არის ერთნაირი წვრილი მოყვითალო ლობიო. ამას უწოდებენ „ლუდუ“-ს. ეს ჩვენებურად მომზადებული ძალიან გემრიელია და მალეც იხარშება; აქედან აკეთებენ ეგრედწოდებულ „სიიონს“-ს; იგი ფერით, სიმაგრით და ცოტა გემოთიც ჩვენებურ თევზისწელას წააგავს. ძალიან ხელოვნურად ამზადებენ. მანამ ამის ქარხანა ჩემის თვალით არ ვნახე, ვერ წარმომედგინა, თუ პარაწინა ლოპიოდან რამდენიმე საუენის სიგძის წელის მომზადება შეიძლებოდა. ზემოხსენებული სიიონი რჩეულთა საჭმელია. ჩინეთში ღარიბთა შორის საპატიო ადგილი უკავია წითელ დამარილებულ ბოლოებს, თითო ბოლოები გირვანქაზე მეტი გამოდის; გძელია, როგორც სტაფილო. მას ამარილებენ და მთელ ზამთარს ამაზე გადადიან. იქ იმას ისეთივე ადგილი უკავია, როგორც ქართველებში ყველს. უნდა ითქვას, რომ იგი ყველაზე მდარე საჭმელია. მაგრამ ჩინელს სიმინდი და დამარილებული ბოლოები თუ აქვს, ის თავს ბედნიერად სთვლის. ყველა ზემოხსენებული საჭმელი ჩვენებური თვალსაზრისით ძალიან იაფია და უხვიც, მაგრამ ყველასთვის ხელმისაწიდომი არ არის.

ჩინელი გლეხისთვის ხუთიდან ათ კაპეიკაშიდის საზრდო მთელი დღისთვის საჭმარისია, ვინც ოც კაპეიკა სარჯავს, იმას მდიდარს უწოდებენ. მიუხედავად საჭლ-

მლის სიუხვე—სიაფისა, იმდენი ღატაკია, რომ მნახველი განცვიფრდება.

გარდა ბოსტნეულისა, არის კიდევ სხვა საჭმელებიც. ჩინეთი ამ მხრით მეტათ მდიდარია. მას აქვს ისეთი საჭმელებიც. რომელსაც ბუნება გაზაფხულობით უხვათ იძლევა. ჩვენ არ ვიცით, ყველა იმ ბალახების სახელები, რასაც იგინი ტყეში და მინდვრად აგროებენ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამგვარები, ერთობ უხვადაა; გარდა ამეებისა, არის ისეთი საჭმელებიც, რომელიც სხვებს სიზრმადაც კი არ მოესიზრმებათ. მაგალითად, ჩინელი ლორის სისხლში ჰყრის ფქვილს, ვიდრე იგი თბილია და ურევს იმ დრომდის, მანამ სისხლი საცივის (холіодец) სახეს მიიღებს. მერე მას სჭრიან და კომბოსტოსთან და სხვა მასალებთან ერთად ხარშავენ.

ლორის ნაწლავებს. და ფაშვსაც სჭამენ. ჩინეთში ჭშირად შეგხვდებათ საყასბოში, რომ ლორის ჯიგართან ფაშვი და ნაწლავებიც ჰქიდია და იყიდება იმავ ფასად, როგორც ჯიგარი.

გამხმარი სოკო დიდ მოდაშია. ჩინურ კომბოსტოს წვრილად დაჭრილს ხარშავენ ლორის ხორცთან. ერთად აჩაში ურევენ სოკოს. გარდა ამისა არის ზღვის კომბოსტო; ამასაც ისევე ლორის ხორცით ხარშავენ, როგორც ბოსტნის კომბოსტოს, მაგრამ ეს მხოლოდ რჩეულთა საჭელია.

ნიორი შუაზე სათესლე ღერს რომ იკეთებს, სჭრიან და წვრილად დაჭრილს ლორის ხორცთან ერთად ხრაკავენ; ეს საჭმელი დიდად მიღებულია. ამას ხმარობენ და შვიათ შემთხვევაში.

ჩინელნი საჭმელად ზღვის შავ მატლსაც ხმარობენ. ამ მატლს არც თავი, არც ბოლო აქვს. ტანზე ეკლის მსგავსი ხორკლი აყრია და ხორცი კაკნატელას უვავს. ამ მატლს რუსულად „ტრეპანს“ უწოდებენ; ეს საჭმელი ერთობ ძვირია და მიუწოდომელი, მაგრამ მაინც სჭამენ; თუ ბევრის ყიდვა არ შეუძლია — ერთს ან ორს მაინც იყიდის (იყიდება გამხმარი). ალბობენ, წვრილად სჭრიან და სხვა საჭმელებთან ხარშვის დროს ურევენ.

არის ერთნაირი ტარაკანის მსზგავსი მწერი, ტანით და მოყვანილობით ტარაკანის<sup>1)</sup> ასლია, ცხოვრობს ზღვა. ში და საცა კი არის ერთობ ბევრია, ამას აქ ხმარობენ ყველაფერში. ჩინურად უწოდებენ „ხაიმი“.

ჩინელი კატის და თაგვის მეტს ყველაფერს სჭამს. ვირის ხორცს აქ ისეთივე პატივი აქვს, როგორც ჩვენში ცხვრის ხორცს; მკვდარი ცხენი და ვირი იხარჯება, როგორც ჩვენში-დაკლული ძროხა, ძალლის ხორცს ჩინეთში კურდლის პატივი აქვს.

ძმრით და ნივრით დიდის სიამოვნებით მიირთმევენ კოს. ქართველს რომ უთხრა: შენ ვენახში რომ კუებია, კარგი საჭმელიაო, გაოცდება. ჩინელი კუს დიდის სიამოვნებით მიირთმევს და დიდადაც აქებს; თუ ხელთ იგდო: მგელი, ტურა, მელა, თხუნელა, დედოფალა; ჩინელი არ დაიწუნებს. ეს ყელის ჩასატკბარუნებელია, რად-

1) ზღვის კომბოსტო რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის ზღვა-შია, ვლადივოსტოკთან და კამჩატკაში. მოელ ჩინეთში აქედან ვრცელდება.

1) ტარაკანს ჩუბინაშვილი „აბანოს ჭიას“ უწოდებს, მართალი არ უნდა იყოს. ამისთვის მე ამ სიტყვას ვტოვებ ისე, როგორც რუსულადაა

ვან ჩინელი გლეხი მწვანილებით ცხოვრობს და როცა კი  
ხორცი უვარდება ხოლმე ხელში-დღესასწაულობს.

ბაყაყებს სჭამენ იმდროს, გაზაფხულზე ახლად რომ  
დაიწყებენ ყიყინს: „მერე გემო არ უვარგაო“.

საპატიო სტუმარს შემძლე გლეხი მიართმევს  
შემდეგ საჭმელებს: კეფალი, დამარილებული კვერ-  
ცხი, ვირის ხორცია ღორის ყურები, ზღვის მატლი, ზღ-  
ვის კომბოსტო, ნივრის ლერო და ნიახურის ან პრასის  
პელმენს. ყველა ესენი ღორის ქონში უნდა იქმნეს მო-  
ხრაკულ მოშუშული, იშვიათ შემთხვევაში ვირის ქონში,  
იმიტომ რომ ეს უკანასკნელი უფრო ძნელი საშოვარია;  
ჩინელი გლეხიც (თავის წრეში) ისეთივე პურმარილიანია-  
როგორც ქართველი, პატარა განსხვავებით: ქართველი  
საპატიო სტუმარს ღვინიო დაათრისტეს, ჩინელი კი სა-  
დილს შემდეგ თრიაქით გაუმასპინძლდება (თუ იშოვა).

გარდა ამ საჭმელებისა კიდევ სხვა მრავალი საჭმე-  
ლია: ზოგი ბოსტნეული, ზოგიც ზღვაში ნაშოვნი-  
ზღვაში რაც კი ცხოველია, ჩინელისთვის ყველა საჭმე-  
ლია. ზღვის პირის მცხოვრებლები ამ მხრით უზრუნველ-  
ყოფილნი არიან, ამისთვისაც არის, რომ შრავალნი ჩი-  
ნელნი დედა-ბუდიანად ზღვაზე ნავებში ცხოვრობენ. ეს  
მიწის სივიწროვის ბრალიცაა, მაგრამ ზღვას რომ მასა-  
ზღდოებელი თვისება არ ჰქონდეს, იგინი აქ არ გა-  
ჩერდებოდენ.

უნდა შევნიშნო, რომ ჩინელ გლეხს რძეზე წარ-  
მოდგენა არა აქვს. ძროხა თუ მოიწველება და რძისგან  
ერბო კარაქი გაკეთდება, ეს მან არ იცის. ჩინე-  
ლის წარმოდგენით რძის დალევა ნადირის საჭმეა. ერთ-

ხელ კარაქს ვჭამდი. მუშების გაუკვირდათ ჩემი ასეთი თავ ხედობა, რომ მე მოუხარშავს (ესე იგი მარტო ქონს) ვჭამდი და გაკვირვებით შეძეკითხნენ: რას შვრები, განა მოუმზადებლად ქონის ჭამა შეიძლება? ვერ მივახვედრე თუ რას ვჭამდი, ვინაიდან მათ ძროხის მოწველაზე წარმოდგენა არა აქვთ.

ესევე არ ითქმის სანაპირო ქალაქებზე. აქ უკვე ეპ-როპიელებმა ჩინელებზე გავლენა იქონიეს და ჩინეთის ინტელიგენტიც რძეს დიდის სიამოვნებით მიიღოთმევს.

საჭმელებს გარდა ჩინელებს სასმელებიც აქვთ (უმალეს არის ტოკრატიამ უკვე ევროპიული სასმელების ხმარება დაიწყო). ჩინელის სასმელი ეგრედშოდებული „შოუძუ“ წააგავს ჩვენებურ ოსურ მყრალ არაყს. ხდიან გაოლიანიდან (ამას აქ უკვე ფაბრიკული ხასიათი აქვს და ამხანაგობები ხდიან ხშირად მილიონი კაპიტალით). „შოუძუს“ სვამენ არა ისე, როგორც ჩვენში ლვინოს, ან არაყს. ჩინელები ამისათვის ხმარობენ პაწაწკინა ჯამებს, ეს ჯამები ჩვენებურ ბავშვების სათამაშოს მოგაგონებს (ამ ჯამის ზომაა  $1 \frac{3}{8}$  დუიმი პირის სიგანე  $\frac{5}{8}$  დუიმი სილრმე) სვამენ ამ პაწია ჯამებით და ისიც დიდის. მოწიწებით, წვეთ-წვეთად. „შოუძუ“ წააგავს ჩვენებურ ლუდს, ესეც ისევე ნელ-ელა ისმება, როგორც პირველი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამის ჯამი უფრო მოზრდილია. ამ სასმელების დროს (ესე იგი ლხინში) ერთი მეორეს ექიშპება, არა სმაში, არამედ ცოდნაში.

შეჯიბრება ხდება შემდეგნაირად: ერთი მეორეს სწრაფად ეუბნება: „ოცდა ხოთა“ — მეორე სწრაფად, დაუ-

ფიქრებლად პასუხს აძლევს, „ოცდა ხუთი“, ორმოც და ათი“, ე. ი. მოპასუხემ ერთი იმდენიც მიუმატა და ისე უპასუხა, ანუ ასე: „შეიდჯერ შვიდი!“ „ორმოცდა ცხრა, ოთხმოცდა თვრამეტი“, ესე იგი რიცხვი გააორკეცა.

ასეთი შეჯიბრება დამსწრეთა გასაგონად ხმამაღლა ხდება თუ წესიერი პასუხი არ გასცა, ანუ შესცდა, მსმენელნი სიცილს დააყრიან, ხითხითებენ. მოპასუხე დამარცხებულია და მან პაწია ჯამიღან დამარცხების ნიშნალ ცოტა არაყი უნდა მოსვას.

ასეთია ჩინეთის ლხინი. ამ შეჯიბრეობაში, რიგ რიგობით იღებენ მონაწილეობას და გამარჯვებული გამოდის ის, ვინც ანგარიში კარგად იცის; ამნაირად ლხინი ანგარიშში ვარჯიშია, ჭკუს სწავლაა. ასეთი ბრძოლა დიდხანს გრძელდება, ბევრსაც იცინიან და ერთი სიტყვით სასიამოვნოცაა. ერთ ასეთ ლხინს მე თვითონ დავვს წარი და მესიამოვნა. მშურდა, რომ აქ ჩვენებური კისერში ჩასხმა, დათრობა, ლანძლვა, ხანჯლების ტრიალი არ იყო, და ლხინის შემდეგაც ისევე მშვიდად აიშალნენ, როგორც ლხინის დასაწყისში იყვნენ.

## ჩინელთა უკე დღეები.

ჩინელს სამუშაო დრო განსაზღვრული არა აქვს. შან არ იცის კვირა-უქმე. მისი უქმე წელიწადში სულ 17 დღეა: ერთი დღე მაისში, 1 დღე მარიამობას და 15 დღე იანვარში. მაგრამ იანვრის ხუთმეტ დღეს მტკიცედ აღარ უქმობენ, სამ დღეს დასაწყისში უქმობენ და ერთს ან ორს—გათავებისას.

დავიწყოთ პირველ იანვრიდან. ეს დღე ჩინეთის ცხოვრებაში იმავე მნიშვნელობისაა, როგორც ჩვენთვის ახალი წელიწადი. პირველიდან ხუთმეტამდე ჩინეთში ლხინია, მუსიკაა.

ყოველ ათ—ხუთმეტ ნაბიჯზე-შეხვდებით არა მელო-დიურ, შეუჩეველი ყურისათვის დიდად. მოსაბეჭრებელ მუსიკას. ყოველ ნაბიჯზე გესმით გონგას უსიამოვნო ხმა. პირველ დღეს არავის უფლება აქვს დაუპატიჟებელი სტუმარი გააგდოს (ბრალიაგები). ვინც კი მივა, უნდა აჭა-მოს, გააძლოს. ბევრია ისეთი შემთხვევა, რომ ქუჩაში მოწანწალა მორთინისტი დღეს მდიდარ საღილთან ზის მას უფლება აქვს ჭამოს იმდენი, რამდენიც სურს. პირველი დღე იწყება დიდის ზემით. ჩინელთ რაკეტები და ჰაერში შუშხუნები ძალიან უყვართ. ეს დღე ჩინეთში ომის განგაშს მოგაგონებთ, ყველგან სროლაა. დი-დი და ჰატარა ისვრის, ქალი და კაცი. ლამით თერთმეტი საათიდან იწყება სროლა, ნაღიმობა, სუფრაზე შე-

ჯიბრება და სხვა. ჩინელ ოჯახის პატრონს აქვს თუ არა, სულერთია, სადლესასწაულოდ უნდა მოემზადოს. მილოცვა აქ მეტად სადა და უბრალოა. ჩინელმა არ იცის არც ხელის ჩამორთმევა, არც პირზე და არც ხელზე კოცნა. ორი ახლად შეხვედრილი ჩინელი ხელის გულს ხელის გულზე მრიდებს და თავის დაკვრით ერთი მეორეს ეუბნება „ფაცაი“, „ფაცაი“. მათი გამარჯვება, და დალოცვაც ეს არის.

პირველ იანვარს სახლში შემდეგში ხდება: დილით ადრე ჩინელი ხონჩაზე ალაგებს ერთ პურს, ქათამს, რამდენსამე პატარა ჯამით სხვადასხვა საჭმელს, ერთ პატარა ჯამით მიწას, მიწაში ამაგრებს ორ ჩინურ სანთელს (სანთელი მომზადებულია ქალალდისაგან და იწვის უბოლოდ).

უკიდებენ. ამავ ხონ ჩაზე ძევს წითელი ქალალდი, რომელზედაც დახატულია ჩინელთ ღმერთები, ზემოხსენებულ ხონჩას სახლის უფროსი გაიტანს კარში, მიატარ-მოატარებს.<sup>1)</sup> გაისვრის რამდენსამე რაკეტს, ზემოხსენებულ დახატულ ქალალდს მოუკედებს და როცა ტაბლა დაიწვის, შემოაქვს სახლში და სდგამს იმ მაგიდაზე, რომლის წინაც კედელზე ჰკიდია დიდი წითელი ქალალდი. ამ ქალალდზე არის დაწერილი ამ ოჯახის წინაპართ სახელები, მთელი წარსული თაობა. ამავ ქალალდზე მოხსენებულია ამ ოჯახის ის შეედრობითი წევრნი, რომლებიც მახლობელ დროში ვარდაცვლილან (იმ შემთხვევაში თუ, ვაჟიშვილი დასტოვეს). როგორც ამ ტაბლას საგვარეულო ქალალდის წინ ტაბლას სდგამს; იგი იჩოქებს, და ფაყვანს

1) ეს წავავს ჩვენებულ საკვლევარს,

სცემს წინაპართ სახელებს და ამასთან ერთად მუხლს იყრის ოჯახის ყველა წევრი დიდი და პატარა (მამრობითი სქესი).

ჩინელის ძვალსა და რბილში მაგრად აქვს გამჯდარი წინაპართ და უფროსთ თაყვანის ცემა. ყველა გვარს, ჰერიტეის თავის „ზუზუნი“ (გვარისთავი). ზუზუნის გარშემო გვარი ისეა შეგროვილი, როგორც დედა-ფუტკრის გარშემო მუშა ფუტკარი იმ განსხვავებით, რომ დედა-ფუტკარი არ მუშაობს, ზუზუნი კი მუშაობს (ზუზუნზე შემდეგ). შანდუნის პროვინციაში არის სოფელი „ლულითუ“. ამ სოფელში სცხოვრობენ გვარი, ჩინ „ები. იქმნებიან რამდენიმე ასი კომლი. გვარს შუასოფელში აქვს საგვარეულო სახლი. ეს სახლი მთელ წელიწადს დაკეტრლია, აღებენ პირველ იანვრიდან 15 იანვრამდე, ამ სახლის კედლებზე ჰკიდია დიდრონი ქაღალდები, ქაღალდებზე დაწერილია გვარის წინაპართ სახელები. აქ გვარის წევრი (ვისაც კი სურს) იპოვის თავის წინაპართ იმ სახელს, რომელიც ორი, ან სამი ათასი წლის წინად გარდაცვლილა. გვარში ვისაცი. იმ წელიწადს (მამრობითა) გარდაცვლია ქინმე (ცოლშვილიანი) ჭირისუფალს დაწერილი მოაქვს და აძლევს ზუზუნს. ზუზუნს შეაქვს განსვენებულთა სიაში. პირველ იანვარს დილით ზუზუნი აღებს საგვარეულო სახლს, შლის სუფრას და უმასპინძლდება გვარს (ძალიან ცოტანი არიან, ვინც მასთან სადილობენ, იმიტომ რომ ზუზუნს მთელი გვარის გამასპინძლება არ შეუძლიან). მოგვარენი რიგ-რიგად მოდიან და ოაყვანს სცემენ იმ წარწერებს, საცა წინაპარნი არიან მოხსენებულნი. მცირე-ჭილოვანნი, როგორც წარწერის წინ, ისე ზუზუნის წინაც

მუხლს იყრიან. ეს გრძელდება 15 იანვრამდე. 15 იანვარს მთელი გვარი (მამრობითი) ზუზუნის წინამძღვრ-ლობით მიღის და თაყვანს სცემს იმ საფლავს, რომელიც მთელი გვარის წინაპარი იყო და გარდაცვლილა რამდენისამე ასის, ან ათასის წლის წინად. ზემოხსენებულ-საფლავის მოვლა დავალებული აქვს ზუზუნს. ზუზუნი საფლავს ყოველ წელიწადს ასწორებს და ინახავს პირ-ვანდელ მდგომარეობაში.

ხუთმეტს იანვარს უქმე უკვე თავდება, თექვსმეტში იწყება მუშაობა, მაგრამ 15 იანვარი ჩინეთის ისტორიაში დიდათ საყურადღებოა. პირველი იანვარი. სახლისაა, ყველაფერი ჩაკეტილია, სახლშია. ხუთმეტს კი მთელი ჩინეთი კარშია, საცა კი ზურნა და სხვა საკრავია, სულ კარშია. თუ კი ვინმე პატარა რამ აკრობოტობა იცის, ყველა თამაშობს, ამ დღეს ისეთი ხმაურობაა, რომ სიტყვის გაგება ძნელდება. აქ თქვენ ნახავთ ქალალდი-საგან გაკეთებულ გველეშაპს, რომელიც ოც ოცდაათ კაცს მალლა უჭირავს და ისე ამოძრავებენ; თითქმი მაწაზე მიიკლაკნებათ. აქ შევხდებით ქალალდის ლომებს, ვეფხვებს, ნავებს და ერთი სიჭყვით იმდენ სხვა დასხვა სათვალთმაქცო. თამაშს, რომ კაცს გაუკვირდება. 16 იანვარს ყველა აკრობატი დადის სახლებში, სავაჭროებში და აგროვებს ფულს. ასე მთავრდება პირველ წანერის დღესასწაული.

5 მაისის დღესასწაულს არა აქვს ისეთი გრანდიოზული ხასიათი, როგორც იანვარს. ეს დღე არის უქმე მეურნეობის. მხენელ-მთესველნი, ამ დღეს მეურნე ღმერთის სიხოვენ კარვს მოსავალს.

15 მარიამობაზე სხვაა. ეს ისტორიულია, ნაციონალურია. ჩინელებმა ამ დღეს განდევნა ჩინეთიდან მონაბრლები. გადმოცემა შემდეგს მოგვითხრობს: ჩინეთის ყველა იმ ყულიმ, რომელნიც მონგოლთ ემსახურებოდენ, მიიღეს პურის კვერები საჩუქრად, კვერებში იყო ჩაყოლებული პროკლამაცია, საცა სთხოვდენ: „დღეს შუალა-მისას ოქვენს ბატონებს ყელები დასჭერითო“. ბრძანება შესრულებულ იქმნა და რამდენიმე ასი წლის წინად ჩინელებმა მონგოლები ამოწყვიტეს და განთავისუფლდენ. 15 მარიამობას ჩინეთში ამ დღის ნიშნად აუარებელი წარწერიანი ტკბილიკვერი იყიდება.

## რა პრის ზუზუნი.

რადგან პირველ იანვრის დღესასწაულში „ზუზუნის“ სახელი გაგვაცნო, ურიგო არ იქნება გავიცნოთ მისი პიროვნებაც. „ზუზუნს“—ირჩევენ უხანიერეს გვარში— ქველაზე მოხუცებულს.

ზუზუნის სიტყვა და საქმე (თუ გვარს ეხება). წმინდათა წმინდაა, ზუზუნი დიდის უფლებით არის ოღვარვილი, იგი თავის საქციელით მხოლოდ კანონის წინაშე არის პასუხისმგებელი, უმაღლეს მთავრობასთან.. ზუზუნს მეტი ყურადღება აქვს და მის სიტყვას ანგარიშს უწევენ. როდესაც ჩინეთს იმპერატორი განაგებდა და ხალხი მის ძონად ითვლებოდა, სამჯავროს ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში ჩინელნი ვალდებული იყვნენ დაჩოქილი მოქმინათ და პასუხი გაეცათ, როგორც წყალობაზე, ისე სასჯელზე. ასეთ დამცირებიდან განთავისუფლებული იყო მხოლოდ „ზუზუნი“. დღეს რესპუბლიკის დროს, ხალხი აღარ იჩოქებს, მაგრამ ზუზუნს თითქმის ძველი პატივი აქვს. ზუზუნი არასაც იტყვის, ის უნდა გაკეთდეს. გვარში თუ ძმები იყრებიან, ზუზუნმა უნდა მოარიგოს, თუ ჩეუბი მოუვათ, ზუზუნშა უნდა შეარიგოს. იყო მაგალითი, რომ გვარის აბეზარი და შემრცხევნი—ზუზუნის ბრძანებით სიკვდილით დაუსჯიათ. ზუზუნს გვარიდან ამდენიმე “იმუ“ აქვს შიცემული ხშირად 20 იც, ეს არის ზუზუნის საკუთრება იმ. დრომდის, სანამ იგი ცოცხალია. სიკვდილს შემდეგ კი გადადის ახალ ზუზუნზე.

## დედაქაცის უფლება.

ჩინეთში ცოლის შერთვა ისე არ ხდება, როგორც  
სხვაგან. ოჯახში ქალი საქონელია. როცა მამა ქალს ათ-  
ხოვებს, ის ცდილობს სიძეს მეტი ჩამორჩეს, ე. ი. ძვი-  
რად მიჰყიდოს სიძეს. მაგალითად, მამა ვაჟს უთვლის: უნ-  
და მომიყვანო ორი ღორი, ერთი ცირი, ცხენიო და მრა-  
ვალი სხვა. იმართება ვაჭრობა. სიძე სცდილობს იათად  
იყიდოს, სიმამარი ცდილობს ძვირად გაყიდოს. თუ შე-  
თანხმება მოხდა, ფულად ანგარიშობენ და ვაჟმა ქალის  
მამას უნდა გადუხადოს ზემოხსენებული ფული. ხშირად  
ეს ას თუმნამდის აწევს, ოთხას ხუთასი მანეთი ჩვეულე-  
ბრივია. პრის ისეთი შემთხვევაც, რომ ცოლს უფულო-  
დაც ირთავენ, მაგრამ ეს იშვიათი მოვლენაა. სიმამრიც  
თავის მხრით მოვალეა ქალს მზითევი გააყოლოს, მაგრამ  
უამრავ შემთხვევაში მოგებული სიმამრი გამოდის.

ქორწილი ხდება შემდეგნაირად. სიძეს მოაქვე ორი  
ხელით სატარი ბალდახინი, თითოში 8 კაცია გამბული  
(თუ ახლოა, ოთხიც კმარა). ერთში ზის მეფე, მეორეში  
დედოფალი; მეფეს თავის სახლში პატარძალი რომ. მოჰ-  
ყავს, ბალდახინიდან აღდმოჰყავთ ისე რომ მიწაზე ფეხი  
არ უნდა დაადგას. სახლის კარებთან სდგას მაგიდა,  
მაკიდაზე აწყვია ოთხი პური, ორი მხრიოლავი ჩი-  
ნური სანთელი ანზიდა. მეფე-დედოფალი ამის წინ იჩო-  
ქებენ, თავს უკრავენ. სახლის კარებში სდგას უნაგირი,

დედოფალმა უნაგირს უნდა გადააბიჯოს. აქვე არის ერთ-ნაირი საჭმელი, რომელიც ჩვენებურ მჭადს წააგავს. ამა-საც უნდა გადააბიჯოს და ასე მივიდეს სახლის იმ ტახ-ტამდის, საცა მისთვის მომხადებულია ადგილი. ბალდა-ზინიდან აქნამდის პატარძალი. მიწაზე ფეხს არ აბრ-ჯებს. ქვეშ უშლიან საბნეპს (აქ ხალიჩა არ იციან). მეო-რე დღეს (თუ სამშობლო ახლოა) ქალი დედის სახლში ურმით მიდის. სიძე აქ ყველას ეცნობა, გაცნობა მუქთო არ არის. სიმამრიანთ ყოველ წევრს მან შეძლებისდაგვა-რად ფული უნდა აჩუქოს. აქ რჩებიან ერთ ლამეს. მეო-რე დღეს უკან ბრუნდებიან, ყველა ამ წასვლა-მოსვლაში წინ ზურნა უძღვით და აჭყვიტინებენ მთელ სამ დღეს. შეუსვენებლად. ვისაც მილოცვა სურს, უფლება აქვს შე-ვიდეს და მეფე დედოფალი დალოცოს არყით ან ლუ-დით, მაგრამ ტაბლაზე თავის საწირავი. თეთრი ფული უნდა დაღოს. სამი დღის შემდეგ იწყება მეფე დედოფ-ლის ახალი ცხოვრება. პატარძალი მოვალეა ყველას ემ-სახუროს. თუ ოჯახში დახვდა დედამთილი ან რამდენი-მე მაზლის ცოლი, იგი მოვალეა ყველას მაგივრად იმუ-მაოს.

დედაკაცს უფლება არა აქვს კაცებთან ერთად და-ჯდეს და ისადილოს, უფლება არა აქვს ის. სჭა-მოს, რასაც მისი ქმარი სჭამს (ამ წესს არღვევენ იმ შემთხვევაში, როცა მარტო ცოლ-ქმარნი არიან და ქმა-რი დაჯდომას სთხოვს). თუ ქმარი პურს სჭამს, ცოლმა ღომი უნდა ჭამოს, თუ ქმარი ღომს სჭამს, ცოლმა სიმინ-დი უნდა სჭამოს; თუ ქმარი სიმინდს სჭამს—ცოლმა გაო-ლიანი უნდა სჭამოს. როგორც პირველ იანვრის დღეს:

წაულიდან ვნახეთ, ქალი მუნჯი მონაა, მისი პიროვნება შელახულია, როგორც სახლში, ისე საზოგადოებაში. საგვარეულო წიგნში ქალს ადგილი არა აქვს. ქალსა და სამუშაო პირუტყვს ერთი ფასი აქვს.

ქმარს უფლება აქვს რამდენიმე ცოლი იყოლიოს, აგრეთვე უფლება აქვს დაწუნებული ცოლი, ვისაც უნდა, იმას მიჰყიდოს. ჩინელ ქალს თუ ქმარი მოუკვდა და შვილი არ დარჩა, ქრისტიანის ძმას შეუძლია თავის რძალი სხვას მიჰყიდოს და ფული თითონ ჩაიდოს ჯიბეში. თუ მკვდარს მახლობელი არავინ დარჩა, შორეულ ნათესავს შეუძლია ისევე მოიქცეს, როგორც მკვდრის მახლობელს. უძრავ-მოძრავი ქონებიდან ქვრივი ვერაფერს ვერ სარგებლობს. ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ უშვილოები არიან.

ჩინელ ხალხის ცოლ — ქმრობაში გვარს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. თუ კაცის გვარი ჩინია და ქალი-საც ჩინი, თუნდა ათას თაობასაც გაევლოს, ყოვლად შეუძლებელია მათი შეუღლება. უეჭველად კაცის გვარი. სხვა უნდა იყოს, ქალის სხვა.

ქალს გათხოვებამდის გვარი არა აქვს, მას სახელს არქმევენ ისეთს, რაც მის მშობელს მოესურვება, მაგალითად: ვარსკვლავი, მზის სხივი, ვარდო, და სხვა ასეთები. გათხოვების შემდეგ ქალი სახელთან ერთათ იძენს გვარსაც. ესეც ევროპიელთაგან დიდად განირჩევა, მაგალითათ, თუ კაცი „ჩინ-შა-ნოა“ და ქალის მამა „სან-ხო-შინ“, „ხდება ასე: ქმრის გვარის დასაწყის „ჩინს“ ემატება „სან“ ესე იგი „ჩინსან.“ ეს იქნება ქალის გვარი და ამნაირად არის მთელ ჩინეთში.

თუ ქალს შვილი არ ჰყავს და ქმარს კი უნდა მოიშოროს, ეს ძალიან ადვილია. იგი პატარა რამე მიზეზს იგონებს და ჰყიდის. თუ მყიდველი არ არის და ზაინც მოშორება უნდა, ის ქალს აძლევს ბარათს, რომ არ მინ-

დიხარო და აგდებს სახლიდან. ჩინეთში ქალებით ვაჭრობა ძალიან გავრცელებულია. ეს ბოროტ პირებს ხელს უწყობს გამდიდრდენ. ზოგიერთი ვითომდა ცოლის შესართავად ერთი პროვინციიდან მეორეში მიღიან, ქალის დედმამას ფულს აარბებენ, ქალები მოჰყავთ დიდრონ ქალაქებში და საროსკიპოებში მოგებით ჰქიდიან.

უკანასკნელ წლებში ქალთა ცხოვრებაში მცირედი ცვლილება მოხდა. სანაპირო ქალაქებში, საცა განათლების სხივმა შეანათა, ქალთა სასწავლებლები დაარსეს, 1924 წელს უკვე 164.71 მოწაფე ქალი იყო (3363 სასწავლებელი და 10 საუალო სასწავლებელი 1138 მოწაფით). ამათ გარდა 60000 მოწაფე ქალი სწავლობს ჩინეთის მთელს იმპერიაში ევროპიულ და ამერიკულ ქრისტიანულ სასწავლებელში.

ზემოხსენებულ სიკეთესთან არის ჭირიც. პეკინის ჩინურ გაზეთს „შუნ-ტან-ში-ბაო“-ს მოჰყავს 1915 წლის სტატისტიკური ცნობები როსკიპ ქალთა შესახებ, (ქ. პეკინში). პეკინის სანიტარული პოლიციის და ქალაქის კეთილმოწყობის ხარჯების დამფარავი შემოსავლის წყარო პეკინის საროსკიპოები და რიკშებია. მთელ ქალაქის შემოსავლის  $\frac{3}{4}$  იძლევა ზემოხსენებული როსკიპთა და რიკშთა რაზე.

პეკინში ითვლება	სახლი	ქალები
პირველი ხარისხის საროსკიპო	77	465
მეორესი	95	930
მესამე	168	1750
მეოთხე	33	302
	373	3444

ამ სახლებიდან პეკინს წელიწადშა 196.000 დოლარი შემოსავალი აქვს, ცენტრალურ-საავადმყოფოს სტატისტიკა გვაუწყებს, რომ 1923 წელს სიფილისით  $3\%$  გარდაცვლილა და ავალია  $2\%$ .

## ე ძ ი მ ე ბ ი.

ჩინეთში ექიმობა ჩვენებურს, ძველებურს წააგავს. ჩინეთის ქალაქ-დაბებში თქვენ შეხვდებით ბაზარში გიმო-ფენილ ბალახებს და სხვადასხვანაირ ღვრიჭილებს, აქ ნახავთ გამხმრ ჯოჯოს, ბაყაყებს, ხვლიკებს, გველებს. ყველაფერ ხალხის მოსატყუებლად, გასაბრიყვებლადაა. აი ერთი მაგალითი.

ერთ ასეთს ექიმბაში ჰყავდა მამალი ინდაური (ჩინელებმა არ იციან, ინდაური რაა). ცნობის მოყვარუ ხალხს იგი ამით თავს აწონებდა, და რალაც ზლაპრებს ელაპარაკებოდა. როგორც ცხვრები შეგროვილი ერთათ, ჰკითხავდნენ მათ დანიშნულებაზე. ექიმმაში ამ შემთხვევით სარგებლობდა, თავის გამოფენილ ჯოჯოების და ინდაურის მნიშველობას უამბობდა, ამ პირუტყვთა წყალობით გულუ-ბრყვილო ხალხს დიდ ექიმად აცნობდა თავს და ჟოველ სნეულების განკურნებას უქადღა.

ჩინეთის დოსტაქრობას უწოდებენ ტიბეტის მედიცინას. ტიბეტის მედიცინას რამდენიმე ათასი წლის ისტორია აქვს, მაგრამ იგი კარჩაკეტილია, ევროპისტვის ხელ მიუწდომელი. აქ ნასწავლი ექიმები ღირსშესანიშნავი გამოდიან, მაგრამ ასეთი ექიმები ჩინეთში სანთლით საძებარნი არიან. რაც შეეხება ზემოხსენებულ ექიმბაშებს, ესენი ერთობ ბევრნი არიან. აქ მეტ წილად ბალახ-ბუ-

ლახითაა წამლობა, ჩინელი ექიმების ოთხმოცდაათი პრო-  
ცენტი ტყუის, ხალხს ფულებს სცინცლავენ და თუ ვინმე  
იკურნება — შემთხვევითი და იმედით.

ერთ ნაცნობი აფთიაქარი ვნახე, ერთმა ჩინელმა ოცნ  
მანეთის მრავალნაირი წამალი იყიდა. იგი პროფიზორს  
წამლების მნიშვნელობაზე ეკითხებოდა და იწერდა.

შეკითხვაზე: რათ უნდა ამდენი წამალი მეთქი, პრო-  
ვიზორმა მითხრა: ექსპერტია შინა, სოფელ-სოფელ დადის და ამ  
წამლებით თავის სახელით სნეულებს სწამლობს. ეს კაცი  
თვეში ერთხელ რეგულიარულად ოც მანეთს ვაჭრობს  
ჩემთან.

ჩინეთში მრავლად არიან მკითხავები. განსხვავება  
აქ ჩვენსა და იმათში ძალიან ცოტაა. მაგალითათ, მკით-  
ხავთან ავადმყოფი მოდის და სითხოვს უწამლოს. სასყიდლის  
მიღების შემდეგ, დედაბერი ჩინურ სანთელს უკიდებს, თით-  
ონ იღებს გძელ ჩიბუქს და მწარე წეკოს მაგრა ეწაფება.  
ამ დროს მის პირიდან ბოლი ისე მოდის, როგორც ბუხრიდან.  
დედაბერი ხმის ამოულებლად გარინდებული რამდენიმე  
წუთს ხარბად ეწაფება მწარე ბოლს და როცა თავი  
გაუბრუვდება, თვალებს ხუჭავს, თითქოს დაეძინაო. ამდროს  
ავადმყოფი ან მისი მაგიერი ჩიბუქს პირიდან მკითხავი  
იწყებს აბდა-უბდის ლაპარაკს. პირიდან ჩიბუქს რომ  
აცლიან, იგი ამბობს, ჩემში მელა ჩასახლდაო (ხშირად  
დედოფალას და კუსაც ახსენებენ) და მელა იწყებს გამო-  
ლაპარკებას ავადმყოფთან (ან მის მაგიერთან): მე მცხოვ-  
რები აბადა ამ ადგილას, წითელი მელა (ასახელებს ტყეს, ან  
გორას) გამარჯობა შენი! ვინ გაგიხდათ ავად, რისაგან  
არის, როდის დაემართა ავადმყოფობა? მე ვეცდები მო-

გარჩინოთ, ამაღამ წამალს მოგიმზადებ, ხვალ მოხვალ და წაიღებო. თვალდახუჭული დედაბერი ასეთ ლათაიებით უმასპინძლდება ავადმყოფს მთელ საათს. ავადმყოფი ან მისმახლობელი მეორე დღეს მოღის და დედაბრისაკან მიაქვს „მელას მომზადებული“ წამალი. დედაბერი ეუბნება, წუხე ლის მელიამ მოიტანათ“. როგორც სჩას, მელა, თხუნელა, კუ და დედოფალა—ჩინელთ მკურნავი. ლმერთები ყოფილან. ერთ ჩინელს ვკითხე: მელა თუ დმერთად გწამთ, მას ხორცს რად სჭამთ-მეთქი. მიპასუხა: „ის მელა, ჩვენ რომ გვწამს, ერთობ დიდიხნია, ბებერია, ჩვენ კი ახალგაზრდა მელას ეჭამთო“.

ჩინეთის ქალაქების ისეთ ქუჩებში, საცა უფრო მეტი მოძრაობაა, თქვენ ნახავთ მთელ რიგ ჩამწკრაებულ მაგიდებს. ყველა მაგიდას წინ უხის კაცი, უწყვია წიგნები, ჩინური საწერ-კალამი, ქალალდი. მაგიდაზე სდგას ხის ვიწრო და მაღალი კოლოფი. ამაში დათლილი ჩხირებია. ყველა ეს არის ტყუილების წყარო, კაცი მარჩიელია, მის წინ ნივთები მისი იარაღია. მკითხავის ოთხი კაპეიკიდან ოც კაპეიკამდეა. ერთ აბაზად იგი სიმღიდრე-სიკეთეს და სხვას გპირდება. თუ შეგატყო ფულიანი ხარ—სულ უარს და უარს გეტყვის და ბოლოს „თუ ფულს გაიმეტებ, მე გიშოვნიო“. გაბრიყვებული მამენელიც ემორჩილება და უკვეთავს წამალს მარჩიელი უწერს ლოცვას ქალალდზე და ეუბნება: თან ატარეო. რა ჩაწერა შიგ, ალახმა უწყის. თვალზილულ მარჩიელთა გარდა არიან ბრმა მარჩიელნიც. ზოგი სალამურს უკრავს, ზოგი ჭიანურზე, ზოგი თარზე აწკანურებს. ჭიანურის დამკვრელი ავადმყოფს სამარჩიელო სიტყვებს სიმღერით ეუბნება. სალამურის დამკვრელი ამ იარაღს ხმარობს ხალხის მოსაგროვებლად.

## თ რ ი ა ქ ი.

ჩინეთის ხალხზე მეტათ ცუდი გავლენა აქვს თრიაქს, პირველი, რომ თრიაქი შემოაქვთ უცოლებს და ამაში ჩინეთის სიმდიდრე გააქვთ. მეორე—თრიაქს შეჩვეული ჩინელი მას ვეღარ სთმობს და შრომის უნარს ჰყარგავს.

თრიაქი მთავრობისაგან აკრძალულია, მაგრამ ჩინელი მოსამსახურე საშინელი მოქრთამეა და თრიაქით ვაჭრობა ჰყავავის, ასე რომ ამის ვაჭრობას თვითონ ამკრძალავნი უწყობენ ხელს.

სანჩაგოუს რაიონში გენერალ „ჯონზუნ-ჩანს“ დიდი მინდორი აქვს. ამ მინდორში მან 1923 წელს გლეხებს თრიაქის დათესის ნება მისცა. თრიაქი იმდენი მოვიდა, რომ იმ წელიწადს გაყიდვა ვერ მოასწრეს. თრიაქი გაიაფდა და ფასი დაეცა. მეორე წელიწადს მიწის პატრონშა თრიაქის დათესა სასტიკად აკრძალა რომ ფასს აეწია. ამ ნიადაგზე დიდი უბედურება დატრიალდა. წინა წლით წაქეზებული მუშები შორიდან მოვიდენ და სამუშაოდ კი არ დაუშვეს, ბევრმა გორებში ჩუქად დათესა. ასეთი გლეხები სიკვდილით დასჯილ იქმნენ (ბევრს თავი მოჰკვეთეს).

ასეთია ჩინეთის საქმე თრიაქის გამო. მთავრობა ერთი ხელით უკრძალავს, მეორეთი მის გავრცელებას ხელს უწყობს.

ვინც თრიაქს დიდხანს ეწევა, შრომის უნარს ჰყარგავს, შემოსავალი აკლდება და გადადის მორფზე. მორ-

ფის მისალები სახლები აკრძალულია, მაგრამ მაინც ბევრია. მორფის მიღება ხუთი კაპეიკიდან ათ კაპეიკამდე ლირს.

თრიაქის შემდეგ მორფი ადამიანს ძალიან აუძლლურებს. ყოველ დღე მუდამ უნდა მიიღოს, ჯერ ერთი წყლული არ არის გამოელებული, მეორე, მესამე და მეოთხე წყლული ემატება. ასე რომ მორფის მხმარები ხშირად მთელი სხეულით დაწყლულებულია და მორფის ჩაშასშვები ადგილი აღარ აქვს; ამნაირად დაავადმყოფებული, მოშლილი სულიერად და ხორციელად, ქუჩაში ხელგაშვერილი დაღის, ან გდია და თუ ვინმე კაპეიკს მიაწვდის, კიდევ ცდილობს სადმე მორფი ჩაიშოს, მოაწევს ზამთარი და ქუჩაში კვდება. სამორფო სახლები მიყრუებულ კუთხეშია. სამორფო აპერაციებს ხუთ კაპეიკად აკეთებენ.

ვინ ამზადებს მორფს ჩინეთისთვის? ეს შხამი გერმანიიდან, ინგლისიდან, იაპონიიდან და ამერიკიდან მოდის. ამისათვის არიან სპეციალური ვაჭრები, სპეციალურნი მოგზაურნი სანაპირო ქალაქებიდან შუაგულ ჩინეთში.

მაგალითად, დაირენი მორფის ერთი საუკეთესო მიმწოდებელია. ხარბინის ევროპიელნი და იაპონელნი დღეს ამ ვაჭრობით მდიდრდებიან. საკმარისია დაირენიდან ტიანძინსა, ჩიფუსა, ან ფუდედიანში სამი კილო როგორმე მიიჭანოთ, რომ ხარჯებს გარდა სულ რამდენ-სამე დღეში ორას — სამასი დოლარი მოიგოთ.

## ბ ა ნ ქ მ.

ბანქოს თამაში ჩინეთის ერთი სენთაგანია. ჩინელებს ბანქოს სიყვარული ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. მე ვნახე ას მუშაში მხოლოდ 2 არ თამაშობდა — ეს კი 98 %-ია, ამათში 50 % მუდმივი მოთამაშეა. სათამაშო სპეციალური სახლები მრავალია და სათამაშოც მრავალნაირი. 1925—წლამდე თამაში ოფიციალურად სწარმოებდა და მთავრობას კარგი შემოსავალიც ჰქონდა. თითო სათამაშო სახლი, საცა ერთი მაგიდა იდგა, ევროპიელი დღეში 60 დოლარს იხდიდა, ჩინელნი 30 დოლარს. ეს სათამაშოები ოფიციალურად წარსულ აპრილში აკრძალეს, მაგრამ არა ოფიციალურად ისევ არსებობს.

## თ უ თ უ ნ ი.

ჩინეთში თუთუნს ყველა ეწევა, იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ათასში ერთი არ ეწეოდეს. ეწევიან არა მარტო მოზღვილნი, დიჭი და პატარა, ქალი და კაცი.

ჩინელი დედის ძუძუსთან ერთად იწყებს პაპიროზის წევას. გარდა იმ აუარებელი წეკო თუთუნისა, რომელიც თვითონ მოჰყავთ, სამზღვარგარეთიდანაც დიდალი შემოაქვთ. ჩინელი მდიდარი თუ კი გაიგებს, რომ საღმე კარგი პაპიროზი იყიდება, ფულს არ დაიშურებს, ბევრჯერ მინახავს, რომ ინგლისურ კოლოფ სიგარეტში (50 ცალი რკინის კოლოფში) ორ და სამ დოლარს იძლევიან. ინგლისი თავის მწარე თუთუნში აუარებელ სიმდიდრეს იძენს.

## გ ვ ა რ ი.

ჩინელის გვარი ევროპისას არ ჰგავს. ჩინელი გვა-  
რის პირველი ხმოვანი ასო, თავის უხმო ასოებით არის  
გვარი. მაგალითათ „ჩინ-შა-ნო“, „ჩინ“ არის გვარი, მეო-  
რე „შა“ მერამდენე თაობაა, „ნო“ ძმათა გასარჩევად.  
თუ ოჯახში რამდენიმე ძმანი არიან, ყველას პირ-  
ველი და მეორე ასო ერთნაირები აქვთ, მესამე კი სხვა-  
დასხვანაირი.

მაგალითად სამი ძმა

- 1. ჩინ-შან-მინ.
- 2. ჩინ-შან-გო.
- 3. ჩინ-მან-ნო.

როგორც ზევით ვთქვით, „ჩინ“ არის გვარი, „შან“  
ნიშნავს მეხუთმეტეს, მესამე კი ძმათა გამრჩევია. ამათი  
შვილი იქნება „ჩინ ქინ“-მე-16. მესამე ასოს ზედ შეს-  
რულს მშობლები თავიანთ სურვილისამებრ მიუმატებენ.  
„ჩინ ქინ“ შვილი იქნება „ჩინ-შაო“ მე-17 და სხვა.

პირველი ასო რჩება სამულამოდ, მეორე იცვლება  
თანახმად თაობისა და მესამე კი მშობელთა სურვილი-  
სამებრ.

ოჯახის წევრმა ყველამ იცის, მერამდენე თაობას  
ეკუთვნის, მაგრამ სხვამ სხვისა იშვიათ შემთხვევა-  
ში, რადგან ჩინელთა ასოთა სიმრავლე—სირთულე  
ამის ნებას არ იძლევა. მე-14 თუ მე-15-მეტე ყველა  
ერთნაირი ასოთი არ იწერება, დმისათვის სხვადასხვა.

ნიშნებია. აი ეს არის რომ ცნების გაგებას აძნელებს. ერთი ასო ხშირად ოც და ორმოცნაირად იწერება. ამას სწერენ შტოს მიხედვით, მაგალითათ პირველ შტოს მეხუთე თაობა სულ სხვანაირად სწერს და მეორე სულ სხვანაირად, აგრეთვე მესამე, მეოთხე და სხვა. <sup>1)</sup>

მართალია ჩინელს სახელი ჰქვიან, მაგრამ სახლში ჩინელის სახელს ვერ გაიგონებთ, სახელი არის ოფიციალურ დაწესებულებისათვის.

მამა შვილს ეძახის შემდეგნაირად: ავიღოთ მაგალითათ იგივ „ჩინ-მა-ნო“. მამა თუ პირველ შვილს ეძახის, ეტყვის „ლოდ“ (ეს გამოთქმა ქართულად ძალიან ძნელია) თუ მეორეს — დაუძახებს „ლო—ლან“, თუ მესამესა დაუძახებს „ლო—სან“ ანუ „ლო—სა“-ს.

მანი ერთი მეორეს სახელს უწოდებენ. მხოლოდ უმცროსი ზმა არის ამ უფლებას მოკლებული და არც სახელის დაძახების უფლება აქვს. მან უფროს ძმას უწოდოს «ტაგა», ესე იგი უფროსი. ეს სიტყვა მხოლოდ ძმათა შორის იხმარება.

1) ასოთ სიმრავლე როგორც ცნების გაგებას, ისე მეცნიერების შეთვისებას აძნელებს. ვინც ექვსი ათასი ასო იცის, ასეთ ჩინელს წერაკითხვის მცოდნეს უწოდებენ, ვინც ათი ათასი-ნასწავლს, ვინც 20 ან 4,0 ათასი—პროფესორია არა მისთვის რომ მან თანამედროვე მეცნიერება იცოდეს, არაშედ იმიტომ, რომ მან ასოთა უმრავლესობა იცის და ძველი და როგორი წიგნების წაკითხვა შეუძლია.

## მიცვალებულთა დაკრძალვა.

ჩინელი ჭირისუფალნი როცა შეატყობენ, ავადმყოფი უკანასკნელ დღეშია და გამობრუნების იმედი აღარაა, ლოგინში წამოსვამენ ხოლმე და წვერ-ულვაშს ჰპარ-სავენ. ხშირად მომპარსავთ ავადმყოფი ხელში უკვდებათ. სიკვდილის შემდეგ მოპარსავ აღარ შეიძლება. ამავე წუთს ჭირისუფალი ცოცხს მალავს. ჩინელთა წარმოდგენით, მიცვალებული „ცოცხს თან წაიღებს, ლრუბლებს გარევს და წვიმა აღარ მოვაო“.

ჭირისუფალს ამ დღისათვის მზად აქვს ქაღალდის (კარდონის) ვირი, ან ცხენი (ეს მის შეძლებაზეა დამოკიდებული). ქაღალდის ასეთი ნივთები ჩინეთში აუარებელია (ეს შეადგენს მღვდელთ და ბერ მონაზონთა მონოპოლიას, იყიდება იაფად). ამასთან ქაღალდის ბიჭი ხელში ჯოხით ეზოში მზად აქვს და მომაკვდავის უკანასკნელი. წუთის დროს ჭირისუფალი ზემოხსენებულ ქაღალდის ვირს და ბიჭს ცეცხლს უკიდებს. ამ პროცესის დროს, მიცვალებულის სახლიდან დიდი და პატარა ყველა ცეცხლის წინ დაჩოქილია; ეს არის სულის სამგზავრო საშუალება. ჩინეთის წარმოდგენით, თუ ეს არ მოხდა, სული საიქიოს ფეხით მივა და დაიიღლება. რაც შეეხება ქაღალდის ბიჭს, ეს მისი ჩალვადარია, ამან უნდა მიცვალებულის სული საიქიოს მიყვანოს. ეს არის პირველი დღე.

მეორე დღეს ვირს სწვავენ ხურჯინით. აკიდებულს, (აქ ვირს იმიტომ ვიხსენიებთ რომ 90%, ჩინეთში სილა-რიბისაგამო ვირს სწვავს) — ხურჯინი გატენილია ქალალ-ტებით, ესე იგი ქალალის ფულით (ჩინეთში საიქიოს ფული სპეციალურად მზადდება; ქუჩა-ქუჩა დააჭვთ და დაეძებენ, თუ სადაა იგი საჭირო). ამითს გადაცაცვალე-ბულს უგზავნიან სახარჯოს.

ზემოხსენებულ პროცესის დროს დავსწრენი იძა-  
ხიან „ხან-ჩენა“ (ფული წაიღე).

მესამე დღეს (დამარხვის დღე) გვარის მახლობელ  
შტოს ნათესავნი იკრიბებიან, ყველას შეძლებისადაგვა-  
რად მოაქვს საიქიოს ფული, რომ მიცვალებულს თავის  
მხრით სახარჯო გაუგზავნოს. ჭირისუფალს მომხადებული  
აქვს ქალალდის ვირი, ხურჯინით დატვირთული ქალალ-  
დის ბიჭი ხელში თუთუნის ქისით, ქალალდის გოგო ხელ-  
ში ლიტრით და თასით. ვირმა მიცვალებულს სახარჯო  
უნდა მიუტანოს, ბიჭი საიქიოს უნდა ემსახუროს, თუ-  
თუნი მიართოს ხოლმე. გოგომ წყალი უნდა მიღროოს.  
ბიჭს და გოგოს ორთავეს სახელებს არქმევენ და უბძა-  
ნებენ ყოველ წუთში. სამსახურისათვის მზად იყვნენ. ამის  
შემდეგ ყველაფერს ამას ცეცხლს უკიდებენ.

დაწვის დროს დროს დიდი და პატარა, დაჩოქილია  
და ერთხმათ იძახიან: „ხან ჩენა“. შვილები მამას უძახიან  
„დიდა ხან ჩენა“ (მანჯურიაში პაპა ხან ჩენა). სხვა ნათე-  
სავნი სახელით უწოდებენ „ხან-ჩენა“.

თუ ჭირისუფალს შელება აქვს (უნდა შევნიშნოთ  
რომ ამ დღისათვის არას იშურებენ), ქალალდებისაგან  
გაკეთებული ხარებშებმული ურემი მოაქვს. არის ცხენი,

ძროხა, ბალდახინი შიგ კაცებს გაბმული (სასეირნოდ). აქ ნახავთ ცხვარს, თხას, ქათამს, მაგიდას (ქალალდის) ლამაზად აჭრელებულს სხვადასხვანაირ ქალალდის ფულებს (ვერცხლის ფორმით). ამასთან ქალალდის კაცი — ეს ზარა-ფია, განსვენებულმა ამასთან უნდა დაახურდაოს ის ფული, რომელსაც დღეს უგზავნიან. აქვე ნახავთ ხეს, რომელ-საც ფული ასხია. აქ ნახავთ ქალალდისაგან ოქროს და ვერცხლის გორას, მუშას ხელში წერაქვით და ნიჩბით. ჩინელის წარმოდგენით, ყველა ეს საიქიოს საჭიროა. ქა-ლალდისაგან შექმნილ აზამიანის სახეებს ყველას სახე-ლებს არქმევენ და უბძანებენ, საიქიოს კარგად ემსახურონ.

არის შემთხვევაც, რომ მკვდარს ფიტულის (ჩუჩელოს) დაწვის დროს ნამდვილ თრიაქსა და ვერცხლის ფულსაც ხოლმე ჩააყოლებენ. თუ საბაჟომ თრიაქის მიღების ნება არ მოგცეს, ფული მიეციო. იმდროს, რიცა კუბოს მიწა-ში ჩაუშვებენ, ყველა მახლობელი დაჩოქილია და იძახის: „ხან-ჩენა“. აქვე არიან ბერები და მღვდლები, უკრავენ მუსიკას<sup>1)</sup>.

ჩინელთ ცრუმორწმუნეობა მეტად მრავალნაირია. მის გავრცელებას ხელს უწყობენ სასულიერო პირნი. ეს იქიდანაც სჩანს რომ ზემოხსენებულ ფიტულთა მომზადე-ბა მათი მონაპოლია და აკეთებენ იმისთანა რამეებს, რაც კაცს არადროს აზრად არ მოუვა-

1) ბერ მონაზონი „ხოჩი“. მღვდლი „ტოსი“.

## ჩინელთა რელიგია და ცხოვმარუბნოვანი.

ჩინელთ ეროვნული რელიგია ბუდის მოძღვრებაა: გარდა ამისა, ჩინეთში შეხვდებით სხვადასხვა-სექტებსაც: მართმადიდებელთ, კათოლიკებს, ლიუთერანს, მოსეს რჯულის და მავმადიანთ. სხვათა შორის არის ერთნაირი სექტი, რომელსაც „ჯიხ-ზი, ინ“ს უწოდებენ. ეს სექტა წააგავს რუსების „სტაროვერების“ სექტას. ამათ სასტი-კად აკრძალული აქვთ მაგარ სასმელების დალევა, თუ თუნის მოწევა, ბანქოს თამაში და ყველა ის, რაც კი კაცის ზნეობას ამდაბლებს, ამ სექტის მიმღევარნი ყველა-ნი მოვალენი არიან სექტის დაწესებულებაში შეძლებისა და გვარად თავის წვლილი შეიტანონ. ამათ ამ წვლილი დან აქვთ ფონდი. შემდგარი და თავიანთ ულარიბეს წევრთ ეხმარებიან.

ყველა წევრი ვალდებულია თვეში ერთხელ მაინც დაესწროს სექტის კრებას და ჭკვის სასწავლებელი სიტ-ყვები მოისმინოს.

სხვათა შორის, სექტა თავის მრავულებულ წევრთ ავალებს გზა და გზა, ქუჩაში გადაყრილი დაწერილ დაბეჭდილი ქალალდი მოაგროვონ და ცეცხლში დასწვან. ასეთმა არაჩვეულებრივმა მოვლენამ ჩემი ყურადღება

მიიქცია და ერთ ინტელიგენტ ჩინელს ვკითხე ამის მიზეზი. ჩინელმა ამიხსნა: „ჯინ-ზი-ინის“ მოძღვრებით, ქალალდი რომელზედაც აღამიანის სახელი სწერია, აღამიანის ფეხით და სიბინძურით არ უნდა ილაზებოდეს, აღამიანის პიროვნება წმინდად უნდა იქმნეს დაცული. ის ვინც დაწერილ ქალალდს სთელავს, სთელავს აღამიანის პიროვნებას.

ბევრი ფიქრობს რომ კონფუცი ჩინელებს ღმერთად სწამდათ. ეს მართალი არ არის. კონფუცია ჩინეთს მისცა სწავლა, ის ძყო ჩინელთა სწავლის საძირკვლის. ჩამყრელი და ამშენებელი, სწავლაში მან შეიტანა რეფორმა. ხალხს თავი ისე შეაყვარა, რომ მთელი ჩინეთი იცნობს. ყველა სასწავლებელში (ძველი ფორმის) კონფუცის სურათი აქვთ და ბავშვები როცა კანიკულს. შემდეგ სწავლას იწყებენ, რიგრიგად კონფუცის სურათს თაყვანს სცემენ და მერე იწყებენ სწავლას.

აი ერთი ლეგენდა. კონფუცის ჰყავდა 3600 მოწაფე, ამათში 72 პირველი ხარისხისა. როდესაც კონფუცი კვდებოდა, ზემოხსენებულ 72 მოწაფე მახლობლად ისხდნენ და მის ყოველ სიტყვას და ამონაკვნესსაც კი სწერდენ. კონფუცის უკანასკნელ წამში დაუწყვია ასე: „ორჯერ ორი ოთხი, ორჯერ სამი ექვსი“ და ამნაირად ასამდის. მოწაფეებს უფიქრიათ, სიკვდილის უამს აბოდებსო, მაგრამ ბოლოს რომ დაკვირვებიან, სულ სხვა აღმოჩენილა — ესე იგი გამრავლების ტაბულა. აქამდის ჩინეთის. სასწავლებლებში ჩვეულებათ ჰქონდათ, რომელი მოწაფეც სწავლას ახლად იწყებს, კონფუცის სურათს თაყვანს აცემინებენ, და მისი უკანასკნელი სიტყვებიდან აწყებინებენ სწავლას.

ჩინეთში როცა გვალვაა, ჭირნახული ხმება და სარწყავი წყალი კი არ აქვთ, რამდენიმე მახლობელი სოფელი; დირი და პატარა (მამრობითი) ერთად თავს იყრის. გამოაქვთ პატარა ნიშის მსგავსი ფიცარზე წარწერილი ლოცვა, ბალდახინის მსგავსად წითლად მორთულ ყუთში სდებენ და სდგამენ ტახტრევანზე. ამას ორი კუცი ასწევს და მთელ დღეს დააქვთ. აქვი ახლავთ მლვდელი და ბალდახინის გვერდით დგას. თუ ხალხი ძალიან ბევრია, მაშინ მლვდლებიც მეტია.

დიდს და პატარას ყველას თავზე მწვანე ბალახისაგან გაკეთებული გვირგვინი აღვას.

ყველა ფეხშიშველაა და ზოგიც ზედა ტანგახდილი ყველას ხელში პატარა წითელი ბაირალი უჭირავს (ზედ წარწერით), წინ ორი ნაციონალური ბაირალი და ზურნა მიუძღვის. გლეხები დამწყრივებული არიან, ოთხ-ოთხი კაცი ერთად (ჯარივით) მიდიან და ხან გამოშვებით იძახიან: „ხიავ იუ ჩი-ბაბა“! (ესე იგი წვიმა რომ იყოს, პურს შევჭამთო). ასეთ ცერემონიით რომელ სოფელზე დაც გაივლიან ხოლმე, სახლებიდან წყალი გამოაქვთ და გლეხებს თავზე ასხამენ. ერთი შეხედვით, ეს ჩევულება ჩვენს „ლაზარეს“ წააგავს, იმ განსხვავებით, რომ „ლაზარე“ უფრო საოხუნჯო ხასიათისაა. ერთ კვირაში ისეთი ცერემონია სამი ვნახე. მდინარეში მუცლამდის წყალში დაჩიქილი ხალხი ცისკენ თვალებაპყრობილი ერთხმად ბლაოდა: „ხიავ იუ ჩი-ბაბა“. დილიდან სალაშომდის ღმერთს სხვადასხვა საჩუქრებს ჰპირდებიან და წვიმას სთხოვენ. სურათი მეტად შემზარავია და დამაფიქრებელი.

ურიგო არ იქნება ორიოდ სიტყვითაც გავიცნოთ  
მათი ზნე-ჩვეულებანი, ესე უფრო მისთვისაა საჭირო რომ  
ჩინეთში კაპიტალმა თავის ჯადოქრული თვალი შეანათა  
და აღრე თუ გვიან ჩინეთის ტრადიციებსაც ის ხვედრი  
უნდა ხვდეთ, რაც სხვა ხალხებს ეწვიათ.

დავიწყოთ ვაჟიშვილის სრუგარულიდან. ჩინელის  
ცნებით, თუ კაცს ვაჟი არ ჰყავს, სააქაოს მომგონებ—  
მომხსენებელი არ ჰყავს, საიქიოს ის დატანჯულ—დალუ-  
პულია. ამისთვის ყოველი ცოლიანი მამაკაცი ცდილობს  
ვაჟი იყოლიოს.

ჩინელს, თუ პირველ ცოლთან. ვაჟი არ ეყოლა,  
ირთავს მეორეს, მესამეს და სხვა. ჩინეთში ხშირად  
შეხვდებით, რომ შემძლე ჩინელს ოთხი და ხუთი ცოლი  
ჰყავდეს.

არის მეორე საშუალებაც, რომელიც ბევრი ცოლის  
ყოლას არ საჭიროებს; ყოველ ჩინელს უფლება აქვს თა-  
ვის შვილი (მცირეწლოვანი) ბაზარში გამოიყვანოს და  
გაყიდოს, ჩინეთის ბაზარზე ხშირად შეხვდებით კაცს, რო-  
მელსაც ზურგზე ბავშვი ჰქიდია. და ხმამალლა იძახის  
„მაი—მაი“, ვყიდიო. ფასი დამოკიდებულია მყიდველის  
და გამყიდველის ქონებაზე. თუ გამყიდველს რამდენიმე  
ვაჟიშვილი ჰყავს და მათი რჩენა უჭირს, იგი ჰქიდის  
იაფად, არა ნაკლებ ოცი ლანისა (ლანი 1 მ. და 30 კაპ.  
უდრის). თუ მყიდველი შემძლეა იგი ფასს დიდ ყურად-  
ღებას არ აქცევს და ყიდულობს შეუვაჭრებლად. მყიდ-  
ველი გამყიდველს ბარათს ართმევს, რომ მან შვილი თა-  
ვის სურვილით გაყიდა, მყიდველი ბავშვს. თავის შვი-  
ლად სრულ მემკვიდრეც აცხადებს და უვლის, ასწავლის

ისე; ოოგორც ნამდვილ შვილს და შეაქვს საგვარეულო  
წიგნში. ასეთი წესი ჩინეთის გამლავლებას არა მცირედ  
უწყობს ხელს. ღარიბს, ოომელსაც ბავშის რჩენა უჭირს,  
ჰყიდის შემძლებე. შემძლე ნასყიდს ისე უვლის, ოოგორც  
თვალის სინათლეს. ხუთმეტი წლისას უკვე ცოლს რთავს  
და აძლიერებს გვარს.

ქალები ვაჟიშვილის ყოლისათვის მრავალ ცრუ-  
მორწმუნეობას მისდევენ. მოვიყვანთ ორ მაგალითს. თუ  
ქალს ვაჟი არ ეყოლა, ხუთმეტი იანვარს (ჩინური რიცხვით)  
მიღის თავისნთ სამლოცველოში; სამლოცველოში სდგას  
თიხის კერპები, ყველ კერპს თავის დანიშნულება  
აქვს, არის ერთი ქალის სახიანი კერპი, ხელში  
ბავშის უჭირავს. ქალმა ამ კერპს თაყვანი უნდა სცეს და  
კერპის ბავშს სასირცხოდან ფჩხილით თიხას მოფხევს და  
სჭამს; მოსვლის და წასვლის პროცესი ისე უწდა მოზდეს.  
რომ ქალმა უკან არ მიიხედოს.

ზემოხსენებულ ცრუმორწმუნეობას დიდ მნიშვნელო-  
ბას აძლევენ და სჯერათ, რომ ვინც ამ წესს შეასრულებს,  
უეპველად ვაჟი ეყოლება.

მეორე ცრუმორწმონეობა შემდეგია: ოჯახში თუ  
ბავშის მოკვდა და ორ წელიწადს არ აღმატება, მიაქვთ,  
ჯვარედინ გზაზე სდებენ და შორისდან თვალს აღევნებენ,  
თუ ღორმა შეჭამა, დიდად სასიქადულოა, მის დედას  
ახალად ვაჟიშვილი შეეძინება, თუ ძალლმა, შეჭამა ძაან  
სამწუხაროა, მის დედას ვაჟიშვილის იმედი არ უნდა-  
ჰქონდეს.

პირველი ორი ჩქეულება, ცოლების ყოლა და ბიჭის-  
ყიდვა, ომდენადაც გასაგები და მიზანშეწონილია, იმ-  
დენად უკანასკნელი ჩვეულება ველურია და მიუღებელი.

୩୧୬୦ ୨୫ ୮୯୩.

୭୧  
୯୮୫୩

